


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: ვარკეთილში
მცხეთა-საბურთალოს ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОБЪ“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.



გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 მანათი. სტრიქონ-
ებისა ითვლება მათგან დაჭრის შემდეგ რედაქცი-
აში მიღებული.

თუ საჭიროა მოითხოვს რედაქცია გასწორების და შეამო-
ღებს დასაბუთებულ გამოცხადებულ წერილებს. დაუბუთებელ წერი-
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
А. Метцль, Москва, Петровка, № 6.

მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა ვაჭების „დროებაზე“

ივლისის პირველიდან წლის დამლევამდე

ფასი ხუთი მანათი

საფლანგის მასწავლებელთათვის

ათხი მანათი

ვისაც დღემდე არ შემოუტანია მეორე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს
დაახლოებით ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ ივლისის 1-დამ ვაჭე-
თი მოესპოთ.

წერილი პოლიტიკაზე

თბილისი, ივნისის 29-ს.

ინგლისის პოლიტიკურს ასპარეზზე
ორი პარტია მოქმედობს: ტორიები და
ვიგები. პირველი არიან უმაღლეს
წოდების წარმომადგენელი და ამის
ინტერესების დამზარებელი; მეორენი
კი უფრო მდბაღ ხალხს ესარჩლებიან.
ამის გამო პირველთ დაერქვათ კონ-
სერვატორები, ხოლო მეორეთ ლიბერ-

ალებს უწოდებენ. რადგან ინგლისის
ბედ ილბალი თვით ერზე და მის წარ-
მომადგენლებზე და მყარებული, ყო-
ველი საქმის დაწყებაც და დაბო-
ლავებაც პალატებზე დამოკიდებუ-
ლი, — შემოხსენებულ მოპირდაპირეთა
შორის სუფევს მუდმივი ბრძოლა. ამ
ბრძოლამ განსაკუთრებული სასტიკი
ხასიათი მიიღო, როცა პელანის გამო-
რუსეთისა და ინგლისის შუა უკმაყო-
ფილება მოხდა. მაშინ მმართველო-
ბას შეადგენდა ლიბერალები ზღაღს-

ქუთაისის სათავადა-ახნაურთა

სასწავლებლის განყოფილება

მკვლასეხაქში

(შემდეგ *)

პირველს განყოფილებაში სასწავ-
ლო წლის პირველს ნახევარში ყო-
ველს გაკვეთილს შემდეგ გამართული
გვექნა და სისტემატიურად სხვა-და-სხვა
თამაშობანი, რომ ყმაწვილებს თამა-
შობის დროს ერთმანეთს-შორის ქარ-
თულად ელაპარაკნათ. ჩამოვთვალოთ
თამაშობანი: ა) ბურთაობა: —ა—ფე-
ხით ვატანა, ხ—ხელით ვატანა, ც—
ერთმანეთის სროლა, დ—ბურთის იგრი-
ში, ე—ჩოგან-გაკრული ბურთი (лап-
та);—ბ) ა—თავობა, ხ—ოდრიკა-
ლობა, ც—მარულა ერთად გაქცე-
ვით, წრის ვარკეზე რბენა, გასწრო-
ბით, დ—ქალაქობა, ე—ქორობა,
ფ—ლორობა, გ—მალულობა, ხ—
ხრიკინა და სხვანი. ამ თამაშობით
ორ საგანს ვეღწვოდით: თამაშობას
თავისი პირდაპირი შედეგი ჰქონდა და
ამას გარდა ნაციებ და ტყეპ-მორეულს
ყმაწვილებს ფერი მოუვიდათ, ენაც
აიღვეს ასე, რომ სამი თვის შემდეგ,
ვინც სრულად არა იცოდა-რა, იმა-
თაც შესძლეს რიგანი ქართული ლა-
პარაკი.

მკუთუოდ ასე აღვიღად უნდა მომხ-
დარიყო, რადგანაც მეგრულსა და ქარ-

თულს შუა ძლიერ ვიწრო ხრამი და
არა ისეთი გაუვალა, როგორც ზო-
გიერთებს წარმოუდგენიათ... ამ გან-
ყოფილებაში «დედა-ენიდან» მხოლოდ
80 გვერდი მოასწრეს ამ წელიწადში,
ართემეტიკადამ—რიცხვი 20, გამოცა-
ნების დართვით და ციფრის ყოველ-
გვარად ხმარებით. საღმრთო სჯული-
დამ თორმეტი საუფლო დღესასწაულ-
თა ისტორია და ძველი აღთქმიდამ
მაცხოვრის აღთქმამდის.

თვალსაჩინო სწავლა დისტერვეის
სახელმძღვანელოთი სწარმოებდა. ხა-
ტვა-ზხვას საკონინის ნიმუშების 1-ლი
ნაწილიდგან სწავლობდენ. ზაღობა
ამ განყოფილებაში ერთ ხმაზეა. რომ
სპეციალურად მომზადებული გალო-
ბის მცოდნე მასწავლებელი გვეყო-
ლოდა, ძლიერ კარგი იქნებოდა, რად-
განაც სოფლურ სიმღერებთან ყმაწვი-
ლები საეკლესიო ქართულ-რუსულ
გალობასაც შეისწავლიდენ. მს ორ
ნაირად საჭიროა სოფლად მომართულ
სასწავლებლისათვის. თვით მცხოვ-
რებლები საეკლესიო გალობას პრაქ-
ტიკულს მნიშვნელობას აძლევენ.
მგალობელი ლხინსა და ქარწილში,
ტირლში და წირვა-ლოცვაზე მოწო-
ნებული და პატივდებულია. რაღა
თქმა უნდა, რომ სკოლას ამითი
პატივი დედებოდა, საეკლესიო გა-
ლობის ზნეობრივს გავლენაზე ბევ-
რი ლაპარაკი არა ღირს, რადგანაც
ევ ისედაც აშკარაა. ამ წელში ორი-
ვე განყოფილებაში 23 თავი სიმღერა

ტონის მეთაურობით. მდინარე ტუშკა-
ზე შეტაკების გამო მრთელი ქვეყანა
შეიძრა: ყველანი იმ აზრისანი იყენენ,
რომ ომი აუცილებელი იყო ინგლი-
სისა და რუსეთის შორის. შემეტესი,
ნაწილი ინგლისის გავრცელებისა აღელ-
ვებდა მკითხველებს და უღალადებდა,
რომ ჩვენი თავ-მოყვარეობა შეურაცხ-
ყოფილიაო. შეიქმნა მოძრაობა, მზა-
დებდა.. ძონსერვატორების პარტია,
რომელსაც მეთაურად ლორდ ბიკონს-
ვილდით შემდეგ მარკიზ სალისბიური
ჰყავს, ითხოვდა ომს..

ჩვენი სამფლობელო ინდოეთისაშიშ
მდგომარეობაში ჩავარდებოა... ზღაღს-
სტონმა ყოველი ღონის-ძიება იხმა-
რა, რომ ომი არ გამოეცხადებია.—
მოხუცი ზღაღსტონი საზოგადოდ დი-
დი მოყვარეა რუსეთისა; დიდი ხანი-
დამევე გამოუცხადა მან თანაგრძნობა
იმ საქმეს, რომელიც იკისრა რუსეთის
სახელმწიფოამ...

როგორც ვეროპიული, ისე რუ-
სული გავრცელები ამბობდენ, რომ ზღაღს-
ტონზე დიდი გავლენა აქვს ნოვიკო-
ვის მეუღლეს, პირველის ქალსაო.
ნოვიკოვის ქალი ეს სევა სხრა წე

ისწავლეს: ა) მეგრული «ოსასიას»
კილოზე «დედა ენის» ლექსი «მზეო
ამოდი» ბ) «მოდი ვნახოთ ვენახი»
«ოდელიას» ხმაზე, გ) «გავლესოთ
ძმებო ნამგალი» «იავარალოს» ხმაზე,
დ) «სიმღერა ამხანაგებისა» «ავირია
ავირიას» ხმაზე, (ოკრიბული კილოა)
ე) «მოწვევა სწავლაზე» და «დედამ
რომ შეილი გაზარდოს» ამავე ხმაზე,
ვ) «შენ ჩემო ღორო» კახურად, ზ)
ნადირობა, ი) «სიზმარი» იავანას
ხმაზე, ი) «ნანაშვილო ნანინა» «ნა-
ნინას» ხმაზე, ი) «მოგონება» ორ
ნაირად (ჩქარი და დინჯი) ი) «ფეტ-
ვი და ჩიტები», ი) «არაგვი» ი) «ჩი-
ტები და ქორი» ი) «მკრთალი ნათე-
ლი» ი) «კატა» ი) თხა ი) «ნა-
დირობა», ი) «ირემი» რუსულად:
1) пѣснь синички, 2) урокъ, 3)
„таеть“, 4) вечерній звонъ, 5) „въ
октябрѣ“ 6) „птичка“ 7) «пойман-
ная птичка» 8) «утро» 9) „бур-
нушка“; საეკლესიო გალობა: წმიდაო
ღმერთო პარბელოვის კილოზე და
ძრისტე აღსდგა. მეორე განყოფილე-
ბაში რუსულად „Христосъ воскресъ“
და молитвы предъ и послѣ учения.

რადგანაც ჩვენი სკოლა ახალია
და რადგანაც ყველას უნდა თა-
ვის ეზოში მოათავსოს იგი, სწორედ
ამიტომ, რომ ამ მხრით მინც აგვე-
ცილებინა საეკლესიო სკოლისათვის,
მშობლების კბილის მოსაკვეთად დრო-
ებით აპრილის უკანასკნელ რიცხვებში
დავიწყეთ ბუნაკოვის რუსული ანბა-


ლიწადია, რაც ლონდონში სტოგ-
რობს; თავის პოლიტიკურის წერილე-
ბით, რომელშიაც ის თვის სამშობ-
ლოს ინტერესებს იფარავს, დიდი ყუ-
რადლება მიიქცია მეგობარში; დიდის
სიმდიდრის პატრონს, და ფრიად გა-
ნათლებულს ნოვიკოვისას შეუძლია
ღია სალონი იქონიოს; ამ სალონ-
ში იზოვით საუკეთესო საზოგადოე-
ბას, პოლიტიკურ და ლიტერატუ-
რულ ასპარეზზე მოამქმედ პირებს.
მაგრამ ყველაზე სასიამოვნო სტუმარი
და მეგობარი ნოვიკოვის ქალისა მო-
ხუცი ზღაღსტონია, რომელიც თავი-
სუფალ დროს თავისი მეგობრის სა-
ლონში ატარებდა. ასე რომ ნოვი-
კოვისამ თავის გავლენით დიდი სამ-
სახური გაუწია თვის სამშობლოს.

მარტის გასულიდამ მისის დამლე-
ვამდე ზღაღსტონი და ამისი სამი-
ნისტრო გახდა სანიშნებელი, რომლი-
საცენ იყო მიმართული მოპირდაპირე-
თა ისრები. მაშინდელი ოპოზიცია,
ესე იგი სალისბერი და მისი ამხანაგე-
ბი ვალდებულად ხდიდენ მმართვე-
ლობას უეჭველად ომი გამოეცხადე-
ბინა. ამის გამო, როცა ზღაღსტონ-

ნი და მოვასწარით წერა-კითხვით შეიღ
ასოს გარდა. როცა სკოლა ფებს მო-
იდგამს, რუსული მაშინ პირველის გან-
ყოფილებიდან უნდა გადიდვას, რად-
განაც უიმისოდაც ბევრი მასალა აქვს
ამ წელიწადში ყმაწვილებს შესასწავ-
ლი და შესამუშავებელი. თვალსაჩინ-
ო სწავლა, როგორც ზევით მოვიხ-
სენეთ, დისტერვეის კურსით შეიგნეს
ყმაწვილებმა. მცენარეებს, შინაურს
ცხოველებს და ფრინველებს პირ-და-
პირ გაიცნობდენ ხოლმე ყმაწვილები.
როცა ხარის ან ცხენის აღწერის გაკ-
ვეთილი იყო, მასწავლებელს გამოჰ-
ყავდა მთელი კლასი სკოლის ეზოში;
იქვე მოვარს ცხენს დავიკრდით,
ყმაწვილები შემომეწვირებოდენ სას-
წავლო საგანს და მასწავლებელიც
უხსნიდა. აგრეთვე გაიცნეს მოსწავ-
ლებმა ძროხა, კატა და ძაღლი. შრინ-
ველთა გასაცნობლად რადგან ჩონჩ-
ხი ვერ მოვამზადეთ ჯერ, ქათამხედ
ვაცნობდით მათს აგებულებას. ამ
გვარი მეცადინობით უზანტესმა ყმაწ-
ვილებმაც კი გამოიფხიზლეს და იმო-
დენი მოასწრეს, რადგენსაც ოთხი
იმდენს დროს ვერ მოასწრებდენ წიგნ-
ზე, ანუ სურათზე. საზოგადოდ უნ-
და შეენიშნოთ, რომ თამაშობამ,
გალობამ და თვალსაჩინო სწავლამ
კარგი ნაყოფი მოიტანა გარდა პირ-
და-პირის შედეგისა გარეგანი მხრითაც
ე. ი. ენის ვარჯიშობაში.

მეორე განყოფილებაში თვალსაჩინ-
ო სწავლას სამშობლო გეოგრაფი-

* იხილეთ „დროება“ № 136.



მა სთხოვა პარლამენტს ას-ათ მილიონამდე ფული საომრად მომზადებისათვის თავ-დაპირველად ერთის ხმით გადაუწყვიტეს, მოწინააღმდეგე არ ვინ ყოფილა. ღორდ ჩერჩილმა წარმოსთქვა პარლამენტში გრძელი და მრისხანებით სავსე სიტყვა ..

მართის სიტყვით, ჩერჩილი ომს ითხოვდა. მკოზიციის ამ გვარის ქცევით საგულისხმო იყო, რომ თუ ის ჩივილები ხელში სამინისტროს, ომი აუცილებელი იქნებოდა. მაგრამ გარეშე პუბლიკის საშუალებით ვერა აენეს-რა ზლადსტონს; მაშინ სხვა იარაღს მოეპოვნენ. იმ ხარჯის შესახებ სხვებელად, რომელიც სამხედრო მომზადებას მოხმარდა, ზლადსტონმა შეიტანა პალატაში წინადადება. მისის აზრით ღვინოს და ლუდს უნდა დასდებოდა ბაჟი. რადგან ეს ბაჟი მდებარე ხილხისთვის სამიძიოა, პალატამ არ მიიღო იგი—და პარლამენტის ჩვეულების ძალით, ზლადსტონმა სამინისტროს თავი დაანება. მაშინ მოწვეულ იქმნა სალისბიურის რომელიმე უკვე შეადგინა სამინისტრო და ინდოეთის მინისტრად ჩერჩილი დანიშნა.

ამის შესახებ პირ-ახილი და გარკვევით ბაასი ჯერ კიდევ არ მომხდარა პალატაში. ინგლისური გაზეთი Morning Post-ი, რომელსაც სალისბიურის აზრების გამომხატველად სცნობენ, აცხადებს, რომ პირველს მინისტრს გაუგზავნია ცირკულიარი ყველა ინგლისის ელჩებისათვის; ამ ცირკულიარში მოხსენიებულია, რომ

ახალმა სამინისტრომ თვისი გარეშე პოლიტიკის საფუძვლად მიიღო იტალიას, მერმანის და აესტრიას დაუხლოვდესო...

შინაური ქრონიკა

მასულს ხუთშაბათს 1 განყ. მომრიგებელ სასამართლოში განიჩნა საქმე ერთის აქაურის ვაჭრის იოსებ ჭავთარაძისა (რომელსაც თავის მალაზიაში, სხვათა შორის, საზარაფოც აქვს გახსნილი), და ბ-ნის ძვლიაშვილისა. ჩვენ დაწერილებით გადმოგვცეს ამ ი. ქავთარაძის ვინაობა და საზოგადოების გასაფრთხილებლად აქ უნდა ავწეროთ იგი, რადგან ი. ქავთარაძე პირველი და უკანასკნელი არ არის იმ უსამართლო მოვაჭრეთა შორის, რომელნიც უწყალოდ ატყვევებენ გაჭირვებულს ხალხს.

ი. ქავთარაძე ვაჭრობს ბოლოვინის პროსპექტზე. ძანონის წინააღმდეგ ეს ბატონი ივირავებს სხვადასხვა ნივთიულობას, მაგრამ როგორ ივირავებს—ეს უნდა იკითხოთ. ჯერ ხომ ნივთში მეოთხედ ფასსაც არ ეძლევა და მერე სარგებელს იმდენს იღებს, რომ წარმოდგენაც შეუძლებელია. რადგან კანონით ნება არა აქვს დაგირავებისა—დამგირავებელს ართმევს ბარათს, რომ ესა და ეს ნივთი მე, ამანა და ამან მოგყიდვებენ, ი. ქავთარაძეს. თუ შემთხვევა იქმნა ქავთარაძე მეორე დღესვე შინა-

ყიდის დაგირავებულს ნივთს, რასაკვირველია, დიდის მოგებით—დამგირავებელს-კი, რომელმაც არ იცის, თუ მისს ნივთს რა ბედი ეწვია, შეაქვს თვე-და-თვე უზომო სარგებელი. თუნდა წელიწადიც გავიდეს, ი. ქავთარაძე, აბა, რად განუცხადებს, რომ შენი ნივთი გავყიდე და სარგებელი ნულარ შემოგაქვსო. და როცა დამგირავებელი მიიტანს ნივთის გამოსასყიდელს ფულს, მაშინ-კი, ეუბნება ქავთარაძე: შენი ნივთი რაცა ხანია გავყიდეო! ზარ-დაცემული დარჩება დამგირავებელი, მაგრამ რა უნდა გააწყოს. ბევრს მოპყრობია ქავთარაძე ასე უკაცურად და ერთი ამათაგანი ძვლიაშვილიც არის, რომლის დაზარალებისათვის 1 განყოფილების მომრიგებელ მოსამართლემ დამნაშავედ იცნო ი. ქავთარაძე და გადაუწყვიტა მას 4 თვის ციხე და 45 მან. ჯარიმა ძვლიაშვილის სასარგებლოდ.

მართლში ამ ეჟად ყველგან გზებს აკეთებენ. სოფლებს გაწერილი აქვთ ბევარი და ყველანი მონაწილეობას იღებენ ამ მუშაობაში, მხოლოდ სამწუხარო ეს არის, რომ თავსმდგომი იმისთანა არაინა ჰყავთ, რომ ქვიშა და ქვა რიგინად დააყრდინონ და ამოდენა მუშაობამ შესაფერი ნაყოფი მოიტანოს. ამ დღეებში გზის მუშაობაზე, ცხინვალს ახლო კლდე ჩამოწოლილა და ერთი ანეველი გლენკაცი ქვეშ მოპყლია; გლენკაცს ერთი ფეხის ძვლები სრულიად დამსხვე-

რეცია, ორი დღის უკან ანტონის ცეცხლი გასჩენია და მომცდნენ...
ამ დღეებში ბ. შუბერნატორი მართლში წავიდა იქაურობის დასახედავად. ბორიდან გაემგზავრა დ. ცხინვალს, სადაც ორიოდ საათი დაჰყო, მერე წავიდა ჯავარს, რომელიც ცხინვალიდან ოცს ვერსზე მდებარებს და იქიდან იმავე დღეს უკანვე დაბრუნდა.

შორაპნის მაზრის სოფ. ალდე-თიდან გვწერენ, რომ ერთს იქაურს აზნაური შეიღოსა და 17 კომლ გლენთა შორის დიდი ხანია თურმე დავი-ღარაბა ატეხილი და ერთი პატარა მდინარის გამო, რომელიც გლენების მამულში გამოდის; გლენები მხოლოდ იმ წყალსა სვამენ და თავიანთ საქონელსაც იმას ასმევენ, მაგრამ ეს აზნაური მუდამ წელიწადს იენისში, იელისში და აგვისტოში მდინარეს თავის მამულში გადაუგდებს ხოლმე და გლენები და მათი საქონელი უწყლოობით იხო-ცებიან. სასამართლოებში და სასამართლოს პირებთან სიარულით მოი-ღალენენ საწყალი გლენები, მაგრამ დღევანდლამდის ვერაფერს გახდენო. ახლა აზნაურსია და გლენების შორის რომ წრეს-გასული რამ შემთხვევა მოხდეს, მერე ვინ იქნება დანაშაული? რასაკვირველია, ისინი, რომელთაც გლენებმა მიმართეს საჩივრით და იმათ კი დღევანდლამდის არ გააჩივს—ვინ არის მტყუანი და ვინ მართალი.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ზოგიერთა სოფლის საზოგადოებანი მთავრო-

ისა და საზოგადოდ გეოგრაფიის მოსამზადებელი კურსის ხასიათი ჰქონდა მიცემული, თუმცა პირველი წლის ნახევარში მეორე განყოფილებისათვის სასწავლო მასალა იგივე იყო, რაც პირველს განყოფილებაში. მეორე წლის ნახევარში როცა სკოლის სახლი მისი ატრიბუტებით და ეზო შევისწავლეთ, ყმაწვილებმა ექსკურსიაზე გაიცივნეს დედა-მამის ზურგი. შემეტეს ნაწილად შაბათობით და კვირა საღამოობით ექსკურსიად გავდიოდით მთა-გორებში და მდინარის პირად. ამ გვარად გაიცივნეს მთა და ბარი. მთის ნაწილები: მთის ძირი, კალთა და წვერი, ქედი, ბორცვი, გორაკი,—ტყე და მისი მნიშვნელობა ჰაერისთვის, მთის მდებარეობის გავლენა ქარისა და სითბო-სიცივის მიმართულებაზე. აქვე აენხნათ ყმაწვილებს სარგებლობა მთაში მდებარე ქვა და მადნებისა იმოდენად, რამდენად შეიძლებოდა ამ საგნის განმარტება ყმაწვილებისათვის. მერმე ჩვენ ექსკურსია ბარისკენ მიიმართა. ყმაწვილებმა გაიცივნეს ხეობა, ქალა, მდინარე და მისი ნაწილები, მარცხენა და მარჯვენა ნაპირები, კალაპოტი და ფსკერი, სათავე და შუა-წელი, შესართავი და ტოტი, ფონი, სანაეო და სათევზე, წყლის მნიშვნელობა ჰაერისა, კაციისა, ცხოველთა და მცენარისათვის. აქვე იყო განხილული თიხა, მისი თვისება და მისი მნიშვნელობა კაობის გაჩენაში, ქვიშა და დამაალა

(перегной), ეგ სამი უმთავრესი ელემენტები ნიადაგისა. რამდენადაც შესაძლებელი იყო და რამდენადაც ხელს გვიწყობდნენ საცადნი და მორთულებანი, ჰაერსაც გავაცანით ყმაწვილები ამ წლობით. მომავალი წლისათვის უთუოდ უნდა შევიძინოთ ფიზიკის კაბინეტი, რომლის საშუალებით სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ გავიცნობდით იმ საცადებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელია შეისწავლოს ცხრა ათი წლის ყმაწვილმა, ანაბანის უმეცარიც რომ იყოს, უმარტივესი ფიზიკური და ქიმიური მოვლენანი.


მე ცარიელ სიტყვად არ მიმაჩნია: თითონ ჩემი თვალთ ენახე ამის მაგალითი პეტერბურგს, «სალიანო გოროდში». ამ გზას ადგა ერთი საშუალო სასწავლებლის მასწავლებელი ბატონი ძოვალსკი. მან ჯერ თვითონ საკუთრად სცადა ეგ ახალი საინტერესო საგანი და მერმე იმ გამოცდილების და შეფარდების გვარად ამ წელში გამოსცა წიგნი: Сборникъ первоначальныхъ опытовъ, при помощи которыхъ можно познакомиться дѣтей съ самыми простыми физическими и химическими явлениями (ი. 2 p. 25 კოპ.). ეს წიგნი სწორედ დიდს სამსახურს გაუწევს ჩვენს სკოლას, თუ მისს ხმარებას წინ არ აღუდგა ფიზიკის კომბინეტის უქონლობა და ის გარემოება, რომ ჩვენ რუსულ-ქართული ენის შესწავლის

მეტს აღარას ველტვით სასწავლებელში. ნუ დავიწყებთ, რომ ენა სასკკია ცოდნისა, საქცნიერო მასაღისა. მასაღა, ცოდნა თუ ცოდნა, სასკკვიც :რ იქსუა ვრცელი.

ორიოდ სიტყვა უნდა ესთქვათ საკლასო და კლასს გარე დისკიპლინაზე, რომელზედაც სრულიად დამოკიდებულია ყმაწვილთა სამერმისო ზნეობის საფუძველი. საკლასო დისკიპლინა თვით სასწავლო საგნების და იმათი გარდაცემის ჩასიათზეა დამოკიდებული. რაც უნდა ავი ძალლი იყოს, პურს მიუგდებ, ან ხორცის ნაჭერს ესვრი, ყვეა ღრენას თავს ანებებს. სწორედ ეგრეა მოსწავლეების საქმეც. როცა ბუნაკვის სახელმძღვანელო შეგაქვს კლასში და ათ თორმეტ-ჯერ ამეორებინებ ყმაწვილებს: КОЛОКОЛЬ—ზარი, როცა ბევრია—КОЛОКОЛА—ზარები, ДОМЪ—სახლი, როცა ბევრია ДОМА—სახლები და როცა სხვა მრავალს ამისთანეებს ჩასძახი მთელი საათის განმავლობაში, მაშინ დისკიპლინას ვილა უგდებს ყურს?! ბავშვი ცმუტავს—ხან აქეთ გადაწყდება, ხან იქით, ხან ხელები მიაქვს სტოლ-ქვეშ, ხან ფეხებს უყრის სტოლის საფეხურში, ხან ერთს უსწრებს ენა, ხან მეორეს, რადგანაც ყველა ერთბაშად ვერ ითვისებს სხვაენის სიტყვას. მაგრამ აი, შეიტანე კლასში ყინულით სავსე სტაქანი და გინდა ყმაწვილს აუხსნა, რომ ოთახში მყოფ ჰაერშიაც მოიპოვება ორ-

თქლი; ან შეიტანე ვაშლის ნამყენი, ვაზის რქა მყნა-რგვის ასახსნელოდ—სურათი იცვლება: დაუდგარ და ცქმუტა ყმაწვილების ნაცვლად თვალწინ სმენად გარდაქცეული და თვალზე დაცეცებული დამვიდებულ შეგირდთა გროვა გიდგას ბუზის გაუ-რენასაც-კი გაიკვებ. შენს სიტყვას გულის-ყურით ეწაფებიან და გაკვეთილის ნაწილ-ნაწილად ახნის შემდეგ კრიალოსანივით ჩამოგილაგებენ შენს ნათქვამს. რომ ჩვენს სკოლას რუსული ენის შესწავლაში თვალ-საჩინო ელემენტი შეეცანა, მაგალითად ჰქონდა მას საკმაო მოდლები და სურათები სახელმძღვანელოში მოთავსებული, წერილების შესასწავლად (თუმცა-ღა თვით სახელმძღვანელონიც არ არიან ჯერ ამ სისტემაზე შედგენილნი), მაშინ ერთი-ორად მოიგებდა სკოლა დისკიპლინის მხრითაც და ენის შესწავლის ბარაქიანობითაც. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ მუთათისის ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა, წინააღმდეგ სკოლის კომიტეტისა, და ჩემ მაგიერ წარდგენილის ანგარიშისა, საბიბლიოთეკო ჯამს 50 მანათი მოაკლო. ამის მოკლებას არა სჯობდა, რომ ერთი დამფასებელის ადგილი გაუქმებინათ და დასაფასებელის გამოლევის დროს უსაქმო დამფასებლები არ ეჩრჩინათ?..

(დასასრული შემდეგ).



ლოში ავად-მყოფებს შემდეგი კვამები:
ტერ-გრიგორიანცი — 8 საათიდან 9
საათამდე სახეობა, სანჯღობა და სან-
ბაგშეო ავადმყოფობის; სანჯღობა და სან-
ბენკლევსკი — 10—11 საათამდე — სან-
ხირურგო, სიფილისის ავადმყოფობის
წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და
უურის ტკივილის სანჯღობა; შტემ-
ბარსკი 11—12 საათამდე სიფილისისა
და სხეულზე გამყოფი მუწუკების წამ-
ლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი
ორშაბათობით 9—10 საათამდე შინა-
გან ავადმყოფობის წამლობისათვის;
კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით,
სუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან
ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11
საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და
შარასკევიჩი 9—10 საათამდე ხირურ-
გიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი
სამშაბათობით და შაბათობით 11—12
საათამდე თვალის ტკივილის სანჯღობა-
და; კრანსოვლიაძე ორშაბათობით
და შარასკევიჩი 10—11 საათამდე
შინაგან ავადმყოფობათა წამლობისა-
თვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის
სანჯღობადა მიიღებს თავის სასწაში
უკველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რა-
მელთაც სამკურნალოდამ ბარათი კვამე-
ბათ.

მანანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბი-
ლისის ბაზრებში, ლუქნებში და ხელ-
დახელ 16 თბათვიდამ 1 კათათვიდამ
1885 წ.

გამომცხვარი პური რუ-
სეთის ფქვილისა — 1 გი. 5 კ.
აქურის ფქვილისა; შირ-
კელის ხარისისა — 1 გ. 2 1/2
მეორისა — 1 გ. 2 კ.

**იმპეე ფქვილისა თორნეში გამომ-
ცხვარი:**

პირველი ხარისისა — 1 გ. 4 1/2
მეორისა — 1 გ. 3 კ.
მესამისა — 1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის პური:

პირველის ხარის ლავაში 1 გ. 4 1/2
მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 3 1/2
მესამისა — 1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისისა — 1 გ. 8 კ.
მეორისა — 1 გ. 7 კ.
სუკი — 1 გ. 15 კ.
ცხვრის ხორცი — 1 გ. 8 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისისა - 1 გ.
მეორისა — 1 — გ.

რკინის მზა

ფოსტის მატარებელი მიდის
თბილისიდან ბათუმისაკენ
8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდან თბილისში შემოდის
10 საათ. 25 წამ. დამით.


თბილისიდან ბაქოსკენ
10 საათზე 55 წამზე დამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის
8 საათ. დილით.

თბილისიდან სურამისაკენ
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.
სურამიდან თბილისში შემოდის
8 საათზედ 24 წამ. დილით.

განსხვავება

ევროპის ბაღში



კვირს, ივნისის 30-ს.
დიდი
წარმოდგენა
ფიზიკოსი მ. ღვინგისა
პროგრამა

მოგზაურობა დედამიწის გარშემო.

წარღვნის წინააღმდეგელი სურა-
თები და ნადირები.

ბალერეია ნამდვილის ხელოვნებისა.

მძინარე დედოფალი.

ჯოჯოხეთში მოგზაურობა.

ჩინეთური ფერიების თამაშობა და
სასაცილო სურათები.

კანცერტი დაიწყებს სავამს 7 საათ.

წარმოდგენა 8 საათზე.

ПЕПТОНОВЫЙ ПИТАТЕЛЬНЫЙ ШОКОЛАДЪ
МАГИСТРА ФАРМАЦИИ
А. ЛЕМАНА
Мансгеретиа
Внустрешня дѣля.
ГЛАВНЫЙ СГЛАДЪ ВЪ АПТЕК. МАГАЗ.
ШТОКМАНЪ И ЛЕМАНЪ.
МОСКВА, ИЛЬИНСКЯ.
Приятнаго вкуса, полезенъ дѣтямъ и взросло-
слимъ, ОСОБЕННО МАЛОКРОВНЫМЪ,
какъ увеличивающій питаніе.
Продается во всѣхъ кондитерскихъ, гастроно-
мическихъ, аптекарскихъ магаз. и аптекахъ.
Цена кор. въ 20 плит. 1 р. 20 к. 1/2 кор. 70 к.
Перес. кор. 40 к., 2 кор. 60 к. и т. д.

(Ц. 15375.). (50—7)

ახელ მემამულეთა

თ. ბ. ი. ჯანდიერის და ამს.

ღვინის სარდაფში

ისეილება კარგად შენახული ნამდ-
ვილი ღვინოები ახეთის საუკეთესო
ზერებისა; ამასთან თითონი და წითე-
ლი ღვინო სოფ. ვახანძიანისა — თ.
თ. ჯანდიერებისა.

სოფლად გამსვლელთ შეუძლიანთ
მოითხოვონ ერთბაშად.

სოფლადკი, სერგიევის ქუჩა, № 2.
(10—2)

მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზია
ქუთაისში.

ისეილება: ეოველ-გვარნი ქართული და რუსული წიგნები,
რომელნიც სახელმძღვანელოდ არიან მიღებული ეოველ სასწავ-
ლებლებში.

წიგნები: საბავშვო, სამეცნიერო, იურიდიული და ბელე-
ტრისტიული.

სამწერლო (კანცელიარული) მოწუობილებანი და სხვა სას-
წავლო ნივთები: ქაბაღდი, კალამი, კარანდაში, რეჟულები სხვა
და სხვა წერისათვის.

ყოველივე კლიერ იაზად.

ვისთოვთ ბ. ბ. შედამხედველთ და მასწავლებელთ ჩვენის
მხრის სასწავლებელთა დროით გვაცნობონ — რა და რა სასელ-
მძღვანელონი იქნებიან საჭირონი მომავალ სასწავლო წლისა-
თვის, რომ დროითვე შეუდგეთ იმ სასელმძღვანელოთა დაბა-
რებს.

(50—4)

ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩიხა და საქონლებისა
თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში № № 95, 94, 93, (92
სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. რადგან-
ნაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარ
გარეთ ჩიხის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძ-
ლია ჰყიდოს უკეთესი ჩიხი და უფრო იაფად ვიდრე სხვაგან სადმე. ლა-
სარწმუნებლად ჩიხის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩიხის დამუასებლებ
მა შეადარონ

ჩვენის ჩიხი	1 მან. — კაპ.	ჩიხის	სსვაცან 1 მან. 20 დირებულს.
„ „	1 — 20 — „	„	„ 1 — 50 —
„ „	1 — 40 — „	„	„ 1 — 80 —
„ იშვიათი	1 — 60 — „	„	„ 2 — 20 —
„ ჩინეთის ყვავილი	1 — 80 — „	„	„ 2 — 50 —
„ ფურჩფუ	2 — „ — „	„	„ 2 — 80 —
„ ფენომენი	2 — 40 — „	„	„ 3 — „ —

ტრაქტორები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდი
დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს
სუნწელოვანს და მაგარს ჩიხის ზემო მოყვანილ ფასებად.

ჩიხის ფასი ყოველთვის უქაბაღდოდ იქნება

მალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც 6-ს გორვ. ნაკლებს არ იყიდს,
გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე
სხვაგან: ესენცია კაკოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგი-
რები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები,
და სხვ.; ეოველური პირველ სელადკას — აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის
გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩიხის, კალ-
მებს, ქაბაღდს, კრაოტებს და სხვ. (100—23)

ამა წლის, ივლისის 1-დამ სასახლის ქუჩასე, არწრუნი-
სეულ ქარვასლაში, გაისსნება საწყობი

ფაბრიკისა

ი. და პ. კოპტს

პაისლივი

კოჭის ქაფისა

დაკლებულის ფასებით

აბანტი ფერდ. ებნერი

(6—5)